



**RSF**

ა(ა)იკ ბუღალტრული აღრიცხვის  
ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმების  
მხარდაჭერის ეროვნული ფონდი

### კონკურსის გამოცხადება

პატივი გვაქვს, მოგიწვიოთ მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის „ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების“ ერთობლივი პროექტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის რეფორმების მხარდაჭერის ეროვნულ ფონდთან (RSF) თანამშრომლობით ორგანიზებულ კონკურსში:

## „საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო-2020“.

ნომინანტთა რაოდენობა შეზღუდულია. განიხილება პირველი 20 კვალიფიციური განაცხადი. საბუთების მიღება დაიწყება

**2020 წლის 1 ოქტომბრის 00:00 საათიდან.**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს (სდპ). გთხოვთ გადაამოწმეთ თქვენი თავი შემდეგ საიტზე <https://reportal.ge/PieEntity.aspx> (განახლების თარიღი: 03.08.2020).

საერთაშორისო ჟიურის მიერ სამ ძირითად კატეგორიაში (– ფინანსური ინსტიტუტები – მსხვილი კომპანიები (სდპ 500-ზე მეტი დასაქმებულით) – მცირე და საშუალო კომპანიები (სდპ 500-ზე ნაკლები დასაქმებულით)) გამარჯვებულთა გამოვლენა და დაჯილდოვება მოხდება 2020 წლის დეკემბერში. ასევე დაწესებულია საპატიო პრიზი საუკეთესო ინტეგრირებული ანგარიშგების (Integrated Reporting) წარმოდგენისათვის.

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების პაკეტი (მენეჯმენტის ანგარიში, კორპორაციული მართვის ანგარიში, არასაფინანსო ინფორმაციის ანგარიში) შეგიძლიათ გამოაგზავნოთ ელ.ფოსტაზე [nnle.rsfgmail.com](mailto:nnle.rsfgmail.com) ან ატვირთოთ უშუალოდ კონკურსის საიტზე <https://sites.google.com/view/award20ge/home>

შექმნილი პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მონაწილეობის საკითხებზე კონსულტაციები ფონდში მიმდინარეობს დისტანციურ რეჟიმში და შესაბამისად მონაწილეობის საკითხებზე კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ფონდის თანამშრომლებს ელექტრონულ ფოსტაზე.

შეტყობინებას თან ერთვის კონკურსის აღწერა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

წინასწარ გიხდით მადლობას ღონისძიებაში მონაწილეობისათვის და გისურვებთ წარმატებას!

პატივისცემით,

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდი.**

## საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო

მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის საქართველოში ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების ერთობლივი პროექტი<sup>1</sup> ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის რეფორმების მხარდაჭერის ეროვნულ ფონდთან თანამშრომლობით (RSF) აცხადებს გაფართოებულ ყოველწლიურ კონკურსს ანგარიშგების და გამჭვირვალობის ხარისხის ასამაღლებლად.

2019 წელს საქართველო საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო დააწესა მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის საქართველოში ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ანგარიშგების რეფორმების მხარდაჭერის ეროვნულ ფონდთან თანამშრომლობით. 17 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში გაიმართა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია, რომელსაც ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიებიდან და მარეგულირებელი ორგანიზაციებიდან. ღონისძიებაზე მოხდა სანამუშაო ანგარიშგების და გამჭვირვალე პრაქტიკის მქონე, საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი ქართული კომპანიების აღიარება. ორგანიზატორები მოხარულნი არიან განაცხადონ, რომ კონკურსის პირველი წლის წარმატების გათვალისწინებით ის 2020 წელსაც ჩატარდება.

დაჯილდოება კორდინირებული ძალისხმევის ნაწილია იმისათვის, რომ საქართველო ბიზნესსა და ინვესტორებზე ორიენტირებული ქვეყანა გახდეს, რაც აუცილებელია მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. საქართველოს ეკონომიკის წარმატება მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული კერძო სექტორის მიერ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორების მოზიდვის უნარზე. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების გლობალურ რეიტინგში საქართველოს სახარბიელო მე-7 ადგილი უკავია. თუმცა, ქვეყანა ინვესტორებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს. 2016 წლის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ პერიოდში საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდოს დანიშნულებაა ანგარიშგების ახალ წესებთან შესაბამისობის წახალისება, კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობა და კორპორაციული ანგარიშგების საერთო სტანდარტის გაუმჯობესება ინვესტორთა ნდობის მოსაპოვებლად ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე.

კონკურსი ფართოვდება და ახლა უფრო მეტ კომპანიას მოიცავს. 2019 წელს მასში მონაწილეობის მიღება მხოლოდ საქართველოს საფონდო ბირჟის (GSE) A და B სალისტინგო კატეგორიებში შემავალ კომპანიებს შეეძლოთ, 2020 წელს კი ის ღია იქნება საჯარო დაინტერესების მქონე ყველა პირისთვის (PIEs), რომელთა შორისაა A და B სალისტინგო კატეგორიების ყველა კომპანია, სავაჭროდ დაშვებული ფირმები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ. ლისტინგში შემავალ ყველა კომპანიას ავტომატურად მიენიჭება ქულები შესაფერისობის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მაგრამ საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე სხვა პირებს სავაჭროდ დაშვებული ფირმების<sup>2</sup> ჩათვლით დასჭირდებათ თვითწარდგენა. პოტენციურად 162 კომპანია შეიძლება ჩაერთოს კონკურსში და სათანადოდ შეფასდეს ქულებით (2019 წელს კონკურსში მხოლოდ 16 კომპანია მონაწილეობდა). თვითწარდგენილი კომპანიების რაოდენობა კომპანიათა რაოდენობის იქნება პირველი 20 კომპანიის განაცხადით, რომლებიც შესაბამისობაშია კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნებთან და მიღებული იქნება 2020 წლის 1 ოქტომბრის დღის 12 საათის შემდეგ 2020 წლის 15 ნოემბრამდე (წარდგენის ბოლო ვადა განისაზღვრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შემუშავებული [Saras.gov.ge](http://Saras.gov.ge) ვებგვერდის რეგულაციის მიხედვით). ეს კომპანიები უნდა აკმაყოფილებდნენ აუდიტის არაკვალიფიცირებულ დასკვნასთან და კომპანიის კატეგორიასთან დაკავშირებულ კონკრეტულ სავადო მოთხოვნებს, რომლებიც განმარტებულია ქვემოთ. იმისათვის, რომ კომპანია შესაბამისობაში იყოს კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნებთან, მმართველობითი, კორპორაციული მართვის და არაფინანსური ინფორმაციის ანგარიშგები წლიური ანგარიშის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

2020 წლის კონკურსში წარმოდგენილი იქნება ახალი ჯილდო – კომპანიების წლიურ ანგარიშგებში შემავალი საუკეთესო ინტეგრირებული ანგარიშგებისთვის. ინტეგრირებული ანგარიშგება წარმოადგენს მოკლე კომუნიკაციას იმის შესახებ, თუ როგორ განაპირობებს ორგანიზაციის სტრატეგია, მართვა, ეფექტიანობა და პერსპექტივები ღირებულების შექმნას მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. მსოფლიოს ბევრი წამყვანი კომპანია აქვეყნებს ინტეგრირებულ ანგარიშგებს, რომლებშიც აღნიშნულია ანგარიშგების მიმართულებით არსებული ძირითადი ინოვაციები.

### შეფასების პროცესი

#### შეფასების პროცესი ძირითადად ისეთივე იქნება როგორც 2019 წელს.

ჯილდოს გადაცემა მოხდება 3-ეტაპიანი შეფასების საფუძველზე, რომელიც მოიცავს თავდაპირველ გაცხრილვას, წინასწარი შერჩევის შედეგად გამოვლენილი კომპანიების დეტალურ შეფასებას, და ბოლოს, ადგილობრივი და

<sup>1</sup> <https://www.worldbank.org/en/news/press-release/2019/05/24/enhancing-financial-inclusion-and-accountability-in-georgia>

<sup>2</sup> იხ. <https://gse.ge/en/securities>

საერთაშორისო ექსპერტებისგან შემდგარი ჟიურის მიერ გამარჯვებული კომპანიების გამოვლენას.

**თავდაპირველი შერჩევა**

თავდაპირველი გაცხრილვა დამოკიდებული იქნება იმაზე, არის თუ არა კომპანია ლისტინგში შემავალი საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე პირი. ბირჟაზე ლისტინგში დაშვებული კომპანიებისთვის თავდაპირველი შერჩევა გულისხმობს საფონდო ბირჟაზე ლისტინგში შემავალი კომპანიების გამოვლენას, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე მოთხოვნებს, რაც დასტურდება აუდიტის არაკვალიფიცირებული დასკვნით და წლიური ანგარიშის დროული წარდგენით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (SARAS), რომლებიც [www.reportal.ge](http://www.reportal.ge) ვებგვერდზე ქვეყნდება 2020 წლის 1 ოქტომბრისთვის. ამ კომპანიებს შემდეგ ეცნობებათ, რომ მათ შეასრულებს საწყისი შერჩევის კრიტერიუმები და ავტომატურად სათანადო ქულით შეფასდებიან.

**საზოგადოებრივი დაინტერესების ყველა სხვა პირმა, რომელიც არ შედის საფონდო ბირჟის სალისტინგო კატეგორიაში, თვითონ უნდა წარადგინოს საკუთარი თავი. მაგრამ** ლისტინგში შემავალი სდპ-ების მსგავსად ისინიც უნდა აკმაყოფილებდნენ ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე მოთხოვნებს, რაც დასტურდება აუდიტის არაკვალიფიცირებული დასკვნით და წლიური ანგარიშის დროული წარდგენით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (SARAS), რომლებიც [www.reportal.ge](http://www.reportal.ge) ვებგვერდზე ქვეყნდება 2020 წლის 1 ოქტომბრისთვის. იმ კომპანიებმა, რომლებიც ასრულებენ მოთხოვნებს, თვითწარდგენა უნდა განახორციელონ ფონდის წინაშე თავიანთი წლიური ანგარიშის ელექტრონული ასლის გაგზავნით. სდპ-ების ჩამონათვალი, რომლებიც არ შედიან საფონდო ბირჟის სალისტინგო კატეგორიაში და რომლებსაც შეუძლიათ თვითწარდგენა, მოცემულია დანართში.

ყველა ბანკი, საფინანსო დაწესებულება, სადაზღვევო კომპანია და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული გარკვეული საწარმოები კლასიფიცირდებიან როგორც საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე პირები. ზემოაღნიშნულთან ერთად, მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ჯილდოს მისაღებად მათი განხილვისთვის საჭიროა ისინი ასევე აკმაყოფილებდნენ შესაბამისი მარეგულირებლის საანგარიშგებოსავადო მოთხოვნებს<sup>3</sup>.

**დეტალური შეფასება**

ანგარიშგების ტიპი	მსხვილი კომპანიები (სდპ 500-ზე მეტი დასაქმებულით)	მცირე და საშუალო კომპანიები (სდპ 500-ზე ნაკლები დასაქმებულით)
მენეჯმენტი	40	50
კორპორაციული მართვა	20	20
არასაფინანსო ინფორმაცია	20	10
სხვა	20	20
სულ (%)	100	100

გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება კომპანიების მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად მომზადებული მმართველობის ანგარიშგების, კორპორაციული მართვის ანგარიშგების, არასაფინანსო ინფორმაციის და სხვა ფაქტორების (მაგ. ანგარიშგების გამოქვეყნება ვებგვერდზე, წლიური ანგარიშის წარდგენის დროულობა და წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების ხარისხი) შეფასების საფუძველზე. ამდენად, ჯილდოს დანიშნულებაა სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშეწყობა. თითოეულ კომპანიას მიენიჭება შესაბამისი ქულა 100-დან (100%), ზევით წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებ კატეგორიებში.

**ჟიური**

ჟიურის წევრები ადგილობრივი უნივერსიტეტების და კონსულტანტების დახმარებით განახორციელებენ ქულების მინიჭებას. შემდეგ ჟიური შეიკრიბება გამარჯვებულ და მეორე ადგილზე გასულ კომპანიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად თითოეულ კატეგორიაში – მსხვილი კომპანიები (სდპ-ები 500-ზე მეტი დასაქმებულით) და მცირე კომპანიები (სდპ-ები 500-ზე ნაკლები დასაქმებულით). ჯილდოების გადაცემა მოხდება 2020 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში გამართულ ღონისძიებაზე.

<sup>3</sup> დამატებითი დეტალებისთვის იხ: [https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/nonbanking/legal\\_acts/15.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/nonbanking/legal_acts/15.pdf) and <http://insurance.gov.ge/>

**სამომავლო გეგმები**

**დაჯილდოება უკვე რეგულარული ყოველწლიური ღონისძიებაა.** მომდევნო წლებში დაჯილდოების სქემა კიდევ უფრო განვითარდება, კერძოდ, ის უფრო მასშტაბური გახდება (კომპანიების რაოდენობა, რომლებიც აკმაყოფილებენ კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნებს გაიზრდება) და შერჩევის და შეფასების პროცესიც მეტად დაიხვეწება.

**გრაფიკი (ძირითადი თარიღები)**

1. 2020 წლის დაჯილდოების სქემის შესახებ საჯარო განცხადების გამოქვეყნება – მაისი, 2020.
2. კომპანიების მიერ სამსახურისთვის (SARAS) გამოსაქვეყნებლად გამზადებული ანგარიშების წარდგენა – 1-ლი ოქტომბერი, 2020<sup>4</sup>.
3. სდპ-ების ჩამონათვალი, რომლებიც არ შედიან საბირჟო ლისტინგში და აკმაყოფილებენ თვითწარდგენის მოთხოვნებს ქვეყნდება დაჯილდოების ვებგვერდზე <https://sites.google.com/view/award20ge/home> – მაისი 2020.
4. სამსახურის მიერ [www.reportal.ge](http://www.reportal.ge) ვებგვერდზე ანგარიშების გამოქვეყნება – 31 ოქტომბერი 2020.
5. ლისტინგში შემავალი სდპ კომპანიების ინფორმირება თავდაპირველი შერჩევის შესახებ / სხვა სდპ-ების თვითწარდგენა – 15 ნოემბერი 2020.
6. დეტალური შეფასება – 2020 წლის 15 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე.
7. დაჯილდოების ცერემონია – 2020 წლის დეკემბრის მეორე ნახევარი.

**ჟიური**

საერთაშორისო ჟიურის წევრები არიან ქართველი და უცხოელი ექსპერტები:

- **პოლ თომპსონი**, ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ანგარიშგების რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდის საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრი და მსს ბუღალტერთა და აუდიტორთა ევროპული ფედერაციის დირექტორი, ბელგია (თავმჯდომარე)
- **გიორგი თაბუაშვილი**, ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ანგარიშგების რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდის აღმასრულებელი თავმჯდომარე და აუდიტური კომპანია „არესემ საქართველოს“ პარტნიორი საგადასახადო და სამთავრობო რეგულაციების მიმართულებით, საქართველო
- **გიორგი რუსიაშვილი**, ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ანგარიშგების რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდის დირექტორი, საქართველო
- **ირინა გორდელაძე**, მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის უფროსი კონსულტანტი მართვის სფეროში, საქართველო
  - **ნინო ქურდიანი**, ფინანსური დირექტორი, საქართველოს საფონდო ბირჟა
  - **ერიკ ვერმიულენი**, ტილბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ნიდერლანდები
  - **ბრანკო ლუტიჩი**, SFAI მონტენეგროს პასუხისმგებელი პარტნიორი, მონტენეგრო
  - **ტარიელ გვალაია**, ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ანგარიშგების რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდის გამგეობის წევრი, საქართველოს დამოუკიდებელ დირექტორთა გაერთიანება, საქართველო
  - **ელისაბედ – ნუფა დავითაშვილი**, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მთავარი ბანკირი, საქართველო
  - **მაია მელიქიძე**, კომისიის წევრი, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველო
  - **ედვარდ ვახტანგიშვილი**, ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, საქართველო
  - **ეკატერინე პაპიაშვილი**, CRESCO კონსალტინგის გენერალური დირექტორი, საქართველო
  - **სოფია ყოლბაია**, კაპიტალის ბაზრების ზედამხედველობა, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველო
  - **გიორგი ნაკაშიძე**, ფონდების ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველო
  - **ფილიპ იუნგენი**, yes.com AG-ის ოპერაციული დირექტორი (შვეიცარია) და Pensionskasse vom Deutschen-RotenKreuz VVAG-ის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე (გერმანია)
  - **ჟან-ფრედერიკ პოლსენი**, საქართველოს საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე, საქართველო

<sup>4</sup> როგორც ზევით აღინიშნა, საქართველოს ეროვნული ბანკის, სსიპ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის და საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეგულირების ქვეშ მყოფი კომპანიები ასევე უნდა აკმაყოფილებდნენ დამატებით საანგარიშგებო სავადო მოთხოვნებს.